ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო--საბიუჯეტო კომისიის სხდომის

დ. ლენტეხი 21.11.2025წ

ო ქ მ ი N8

მიმდინარე წლის 21 ნოემბერს დღის 12 სთ ზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო--საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ--კომისიის თავმჯდომარე ე. ლიპარტელიანი

კომისიის წევრები---ხ. მუკბანიანი

რ. გუჯეჯიანი

ა. ქურასბედიანი

ნ .ბენდელიანი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ტ. ჩანქსელიანი და საკრებულოს წევრი ც. ლიპარტელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი და კენჭი უყარა წარმოდგენილი დღის წესრიგის დამტკიცებას.

მიღებული გადაწყვეტილება ;

დამტკიცდეს დღის წესრიგი შემდეგი სახით;

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვა.

მომხ. ე. ლიპარტელიანი

2 . სხვადასხვა

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი წარუდგინა კომისიის წევრებს მომხსენებელმა ე. ლიპარტელიანმა.

მან აღნიშნა რომ 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსავლების ნაწილში წარმოდგენილია 11609.5 ათ. ლარით. 2025 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 2488.2 ათ. ლარით. გადასახდელები 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 8406.0 ათ. ლარი, 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით 7765.9 ათ. ლარი. გაზრდილია 640.0 ათ. ლარით. გრანტები 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით 796.0 ათ ლარი. მიმდინარე წლის დამტკიცებული ბიუჯეტით 783.0 ათ. ლარით. ხარჯები 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით 10665.5 ათ ლარი. 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით 8397. 0 ათ ლარი. გაზრდილია 2268.0 ათ ლარით.

შრომის ანაზღაურების მუხლი 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით წარმოდგენილია 3028. 2 ათ. ლარით. 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით 3354.0 ათ. ლარით. გაზრდილია 325.8 ათ. ლარით.

საქონელი და მომსახურეობა 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილია 1575.0 ათ. ლარი. 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით 1449.0 ათ. ლარით. გაზრდილია მიმდინარე წელთან შედარებით 126.0 ათ. ლარით.

სოციალური უზრუნველყოფა 2025 წლის ბიუჯეტით 267.0 ათ .ლარი. 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით 371.0 ათ ლარი. გაზრდილია 104.0 ათ. ლარით.

ბიუჯეტის ასიგნებები 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულია შემდეგი რედაქციით;

01--მმართველობა და საერთო დანიშნულება ---5317.3 ათ. ლარი.

02-- ინფრასტრუქტურის განვითარება -- 1127.5 ათა. ლარი.

03-- დასუფთავება და გარემოს დაცვა --- 748.0 ათა. ლარი.

04 --განათლება -- 1562.5 ათა. ლარი.

05 --კულტურა ახალგაზრდობა და სპორტი -- 2309.1 ათა. ლარი.

06--სოციალური უზრუნველყოფა --- 542.0 ათ. ლარი

სხდომაზე კომისიის წევრებმა მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი, იმსჯელეს პროექტთან დაკავშირებით და წარმოადგინეს შემდეგი შენიშვნები;
კერძოდ შრომის ანაზღაურების მუხლში გათვალისწინებულია თანამდებობრივი სარგოს 10% იანი მატება. არ არი გათვალისწინებული ა(ა) ი პირების შრომის

ანაზღაურების მუხლის 10% იანი მატება. სპორტული ღონისძიებების მუხლით წარმოდგენილი თანხა რომელიც ძირითადად მიმართულია სხვადასხვა ღონისძიებებისათვის შეადგენს 130.0 ათ. ლარს, აქედან 70.0 ათ. ლარი მიმართულია კლუბ ,, ამარანტების'' დაფინანსებისთვის. დანარჩენი 60.0 ათ. ლარი სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის, რომელიც არ არის საკმარისი სპორტულ სექციებში გაერთიანებული 202 აღსაზრდელის დაოსტატების და პოპულარიზაციისათვის. ასევე არ არის საკმარისი კულტურული ღონისძიებების დაფინანსება.

კომისიის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად მიიღეს გადაწყვეტილება ზემოთ ჩამოთვლილი შენიშვნები გატანილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

სხდომა დამთავრდა დღის 14სთ ზე

საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე /ე. ლიპარტელიანი/